სწრაფი რეაგირების მექანიზმიმოკლე მიმოხილვა

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

http://partnership-governance2-eu.coe.int

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG) წარმოადგენს სწრაფი რეაგირების მექანიზმის მასპინძელ პროგრამას. PPG არის ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ხორციელდება (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა). პროგრამის მიზანია რეგიონის რეგიონში სტაბილურობისა და მდგრადობის განმტკიცება, კერძოდ კი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერა 2020 წლამდე 20 შედეგის მისაღწევად და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნული ხორციელდება შესაბამის ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვების გზით. „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის" მოიცავს კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის, სასამართლო რეფორმის, დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მოწვყველადი ჯგუფებისა და უმცირესობების დაცვის მიმართულებებს.

მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესში PGG ითვალისწინებს ორმაგ მიდგომას:

- ტექნიკური დახმარება ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- სამართლებრივი კონსულტაცია პრიორიტეტულ თემებთან დაკავშირებით, რაც ხორციელდება ევროპის საბჭოს სწრაფი რეაგირების მექანიზმის (QRM) საშუალებით.

სწრაფი რეაგირების მექანიზმი (QRM)

სწრაფი რეაგირების მექანიზმი PGG პროგრამის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) უზრუნველყოფს სპეციალურ (ad hoc) სამართლებრივ კონსულტაციას, ევროკავშირიდან ან ინდივიდუალური ქვეყნებიდან საკანონმდებლო ანალიზისა და შესაბამისი დახმარების თხოვნებზე რეაგირების მიზნით.

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია)

წარმოადგენს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოს საკონსტიტუციო საკითხებზე. მისი როლი მდგომარეობს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის სამართლებრივი კონსულტაციის უზრუნველყოფაში. კერძოდ, კომისია ეხმარება სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ თავიანთი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ევროპულ სტანდარტებთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოყვანა, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროში.

www.venice.coe.int

სწრაფი რეაგირების მექანიზმის მოქმედების სფერო

გეოგრაფიული თვალსაზრისით, სწრაფი რეაგირების მექანიზმი მოიცავს აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვის რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთსა და უკრაინას, ხოლო თემატური თვალსაზრისით იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც ვენეციის კომისიის კომპეტენციაში ხვდება, კერძოდ:

- დემოკრატიული ინსტიტუტები და ფუნდამენტური უფლებები;
- არჩევნები, რეფერენდუმები და პოლიტიკური პარტიები;
- საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი მართლმსაჯულება.

ვის შეუძლია, რომ თხოვნით მიმართოს ვენეციის კომისიას?

პსახელმწიფოს მეთაურებს, პარლამენტის სპიკერებს, მინისტრებსა და მთავრობის წევრებს შესაბამისი ქვეყნებიდან, ისევე, როგორც ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს ორგანოებს (ე.ი. გენერალური მდივანი, მინისტრთა კომიტეტი, საპარლამენტო ასამბლეა, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი), უფლება აქვთ, მოითხოვონ ექსპერტის მოსაზრება. სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) მოსაზრებების მოთხოვნით ვენეციის კომისიას, ასევე, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოებმა.

როგორია თხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები?

გარდა იმისა, რომ მოთხოვნა კვალიფიციურმა ორგანომ უნდა წარადგინოს, იგი, ასევე, ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ხვდებოდეს ვენეციის კომისიის ექსპერტიზის სფეროში, კერძოდ: დემოკრატიული ინსტიტუტები და ფუნდამენტური უფლებები; არჩევნები, რეფერენდუმები და პოლიტიური პარტიები და საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი მართლმსაჯულება;
- პასუხობდეს შესაბამის ქვეყანაში იდენტიფიცირებულ კონკრეტულ საჭიროებას;
- უკავშირდებოდეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ძირითადი პოლიტიკის ასპექტს;
- არ უნდა ფარავდეს ევროპის საბჭოს ან ევროკომისიის მიერ უკვე უზრუნველყოფილ მხარდაჭერას.

როგორ ხდება თხოვნის ფორმულირება და მისი დამუშავება?

თხოვნას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ან ვენეციის კომისიის პრეზიდენტის სახელზე უნდა იყოს. თხოვნა უნდა იყოს მაქსიმალურად დეტალური. იგი უნდა შეიცავდეს იმ კანონმდებლობის დასახელებასა და ტიპს, რომელთან დაკავშირებითაც ითხოვენ სამართლებრივ ექსპერტიზას; სამართლებრივი ექსპერტიზის მოთხოვნის ან კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზეზებს და ექსპერტული მოსაზრების მიღების შემდგომ ახალი კანონმდებლობის (ან შესწორებების) მიღების ვადებს.

მიღების შემდგომ ხდება თხოვნის დამუშავება და შესაბამისი ორგანოსათვის ვადების შეტყობინება. ვენეციის კომისია ექსპერტულ მოსაზრებას უზრუნველყოფს მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

ვისთან უნდა გაიგზავნოს თხოვნა?

ქ-ნი მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩ
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი
ევრობის საბჭო
F-67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ტელ: + 33 3 88 41 20 00
ფაქსი: + 33 3 88 41 27 99

ბ-ნი ჯანი ბუკიკიო
ვენეციის კომისიის პრეზიდენტი
ევროპის საბჭო
67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: venice@coe.int
ფაქსი: +33 3 88 41 37 38

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით:

პროგრამების გენერალური დირექტორატის ოფისი
ევროპის საბჭო
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის
Strasbourg Cedex 67075 FRANCE
ელ-ფოსტა: odgp_pgg@coe.int
ფაქსი: +33 3 90 21 46 31

დამატებითი ინფორმაცია:

@partnershipgovernance

@CoeEapPCF

odgp_pgg@coe.int
http://partnership-governance2-eu.coe.int

PREMS 182819– Photos : Council of Europe and Shutterstock

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ-ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe